

ირინე ტატიშვილი

ხეთური „გილგამეშიანი“

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-17153]

This work was supported by Shota Rustaveli

National Science Foundation of Georgia
(SRNSFG) [grant number FR-21-17153]



მსოფლიო ლიტერატურის უძველესი ძეგლი – გილგამეშის ეპოსი¹ ძველ სამყაროშივე სარგებლობდა პოპულარობით. ამას მოწმობს გილგამეშის თავგა-დასავლების ამსახველი ტექსტების გამოვლენა არა მხოლოდ ასურეთსა და ბაბილონში, არამედ ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთის სხვა-დასხვა რეგიონში – ანატოლიაში, უგარიტში, ემარსა და მეგიდოში. ხეთების დედაქალაქ ხათუსაში (დღევანდელ ბოლაზქომიში) აქადურენოვანი ვერსი-ების გვერდით აღმოჩენილია გილგამეშის ეპოსის ფრაგმენტები ხეთურ და ხურიტულ ენებზე.² გ. ბეკმანის სამართლიანი შენიშვნით, ხეთების დედაქა-ლაქში ნარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად იმაზე მეტი ტექ-სტობრივი მასალა გამოვლინდა, რაც გვიან ბრინჯაოს ხანის ყველა ერთად აღებულ ძეგლზე, სადაც კი გილგამეშის ეპოსის ვერსიებია ნაპოვნი.³

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესა-ხებ, თუ რა ადგილი ეჭირა გილგამეშის ეპოსს ხეთურ კულტურაში: ის მხო-ლოდ სასწავლო მიზნით გამოიყენებოდა სკოლებში ლურსმულ ტექსტთა გადამწერთა აღსაზრდელად, თუ ხეთურ „ელიტაში“ ლიტერატურული ნა-ნარმოების ფუნქციასაც ასრულებდა? აგრეთვე საკამათოა ხეთურენოვა-

¹ მსოფლიო კულტურაში გილგამეშის ეპოსის მნიშვნელობაზე იხ. მაგალითად, Ziolkowski, *Gilgamesh Among Us*.

² ამ ტექსტების სრული ნუსხისთვის იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. XI-XII.

³ ამასთან დაკავშირებით, უფრო დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 4-6; ხეთურენოვანი ვერსიის სტანდარტულ ბაბილონურ ვერსიასთან მსგავსება-განსხვავებების შესა-ხებ იხ. იქვე, გვ. 7-12; გილგამეშის ეპოსის ანატოლიური ტრადიციის შესახებ იხ. აგ-რეთვე, Archi, *Transmission of Recitative Literature*, გვ. 186-188; Klinger, *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur*, გვ. 114-123; Sasson, *Prologues and Poets*, გვ. 269-270, 272, 275, 277.

ნი ვერსიის წარმოშობის საკითხი – ზეპირსიტყვიერი ტრადიციის ამსახველ ტექსტთან გვაქვს საქმე თუ დამოუკიდებელ კომპოზიციასთან, რომელიც არ არის დაფუძნებული უფრო ადრეულ აქადურ (ან ხურიტულ) ტექსტებზე.¹ ერთი რამ კი უდავოა, ბოლაზქოიში აღმოჩენილ აქადურ, ხურიტულ, ხეთურ ენებზე ჩანერილ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს გილგამეშის ეპოსის განვითარების გზის რეკონსტრუქციისათვის, ვინაიდან ეს ტექსტები სწორედ იმ პერიოდის მასალას მოიცავს, რომელიც თავად შუამდინარეთში საკმაოდ ფრაგმენტულად და მნირად არის შემონახული. ამასთან, ხეთური ვერსია ერთადერთი წყაროა ე. წ. კანონიკური ვერსიის – თორმეტფირფიტიანი ეპოსის მეხუთე ფირფიტის შესავსებად. გილგამეშთან დაკავშირებული ბოლაზქოის ტექსტობრივი მასალის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ძველ ახლო აღმოსავლეთში ნარატიული ტრადიციების გავრცელების საკითხისა და ბერძნულ ეპიკურ ტრადიციასთან მათი კონტაქტების შესასწავლად.²

ნინამდებარე ნაშრომი შეიცავს გილგამეშის და მისი მეგობრის – ენქიდუს თავგადასავლების ამსახველი სამი ხეთურენოვანი ფირფიტის – CTH 341.III.1, III.2, III.3³ თარგმანს.⁴

¹ ამ საკითხების მიმოხილვისთვის იხ. მაგალითად, Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 63–72; გ. ბეკმანის აზრით, ხეთურ ვერსიას საფუძვლად დაედო აქადურენოვანი ნიმუში, რომელიც სინ-ლეკი-უნინის ავტორობით შექმნილი თხზულების მსგავსი უნდა ყოფილიყო (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

² Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 199–457.

³ გამოცემებისთვის იხ. პირველ რიგში: Friedrich, *Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos*, გვ. 1–82; Otten, *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*, გვ. 93–125; Rieken (et al.), *CTH 341.III*; Beckman, *The Hittite Gilgamesh*.

⁴ ტრანსლიტერაცია მისდევს ბეკმანის 2019 წლის გამოცემას (Beckman, *The Hittite Gilgamesh*), რომელიც დღეისათვის ყველაზე ახალი და სრული გამოცემაა (აღნიშნული ტექსტების ასლების ჩამონათვალისთვის და მათი განაწილებისთვის ხეთურ სამ ფირფიტიან ვერსიაში იხ. იქვე, გვ. 4–5, 33, 43, 45). თარგმანი ძირითადად ეყრდნობა ტექსტის დაზიანებული ნაწილების ბეკმანის მიერ შემოთავაზებულ აღდგენებს. ამა თუ იმ პასაჟის განსხვავებებული თარგმანი თუ ინტერპრეტაცია ასახულია შესაბამის სქოლიოებში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული წესისამებრ: მრგვალ ფრჩხილებში ლოგიკური ჩანართებია მოთავსებული, ხოლო კვადრატულში – ფირფიტის დაზიანებული და აღდგენილი ნაწილები.

I ფირფიტა

A_a i

§1

1. [გილგამეშის],
2. გმირის, სადიდებელს [ვიმღერებ].¹

§2

3. (ის) გმირმა [ეამ (?) შექმნა],
4. (დიდმა ღმერთებმა) კი გილგამეშის სხეული² შექმნეს. [დიდმა ღმერთებმა]
5. (შექმნეს) გილგამეშის სხეული.³ ცის მზის ღვთაებამ მას [მამაკაცობა]
6. მიანიჭა, ამინდის ღვთაებამ⁴ კი მას გმირობა მიანიჭა.
7. დიდმა ღმერთებმა [შექმნეს] გილგამეში. მისი სხეული [სიმაღლეში]
8. 11 წყრთა (იყო), მკერდი 9 [მტკაველი]⁵ სიგანისა,
9. ხოლო (...)⁶ 3 [წყრთა(?)] სიგრძისა (ჰქონდა).

¹ შდრ. მესამე ფირფიტის (III.3) კოლოფონი: „მესამე (!) ფირფიტა „გილგამეშის სიმღერისა“.

² ტექსტში: ALAM (შუმეროვრამა) „გამოსახულება, ქანდაკება“.

³ ჩემი აზრით, მე-4 და მე-5 სტრიქონებში ორი ფრაზა შეიძლება ამოვიკითხოთ, რომელთაგან პირველს სუბიექტი აკლია, ხოლო მეორეს – ზმნა („შექმნეს“). პირველის სუბიექტში ლოგიკურად „დიდი ღმერთები“ უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო მომდევნო ფრაზაში კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული აღდგენა ხაზს უსვამს დიდი ღმერთების როლს გილგამეშის შექმნაში. იხ. აგრეთვე მე-7 სტრიქონი, სადაც კვლავ ვხვდებით „დიდ ღმერთებს“. შდრ. 40; Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 3-6). აღსანიშნავა, რომ შუამდინარულ ტრადიციაში, ხეთური ვერსიისაგან განსხვავებით, გილგამეში ურუქის მეფის – ლუგალბანდასა და ქალღმერთ ნინსუნის შვილია.

⁴ ცის მზის ღვთაებას და ამინდის ღვთაებას, ხეთური პანთეონის უზენაეს ღვთაებებს, გილგამეშის ეპოსის მხოლოდ ხეთურ ვერსიაში ვხვდებით. ეს უნდა ასახავდეს ხეთურ ღვთაებათა პანთეონში მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თუმცა, მესამე ფირფიტის დასაწყისში, ენქიდუს სიზმარში ნახსენებ ღვთაებათა ჯგუფი ხეთურ პანთეონთან მისადაგებული აღარ არის. ამასთან დაკავშირებით, იხ. Beckman, *Hittite Gilgamesh*, გვ. 5; შდრ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 274.

⁵ ტექსტში: *wakšur* – სიგრძის ერთეული, დაახლ. 14, 8 სმ. (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 8, გვ. 34).

⁶ სხეულის რომელილაც ნაწილი. ფ. ჰაასი აქ აღადგენს „თითის“ აღმნიშვნელ აქადურ სიტყვას (L^UZ^U*u-ba!-ni*), რომელსაც პენისის ევფემიზმად მიიჩნევს (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 274).

ფრიდრიხ-კამენცუბერის ლექსიკონში (იხ. *HW*, ტ. III, გვ. 323) სიტყვა (*harnius*) თარგმნილია არ არის და განმარტებულია როგორც სხეულის ნაწილი, რომელიც, დაბოლოების მიხედვით, დგას მრავლობითი რიცხვის აკუზატივში.

გ. ბეკმანის წაკითხვით: L^UZ^U*HA.R*-ni-as* „წვერი“ (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42). თუმცა, ის იქვე აღნიშნავს, რომ გილგამეშის გარევნობის მსგავს აღწერილობებში წვერს ვერსად ვხვდებით. ამის გარდა, პრობლემას ქმნის მოცემულ სიტყვასთან „ხორცის“ აღმნიშვნელი დეტერმინატივიც – UZU.

§3

10. (გილგამეშმა) ყველა ქვეყანა შემოიარა,
11. ქალაქ ურუქს მიადგა და იქ [დასახლდა].¹
12. ყოველდღიურად ჩაგრავდა ურუქელ [ყმანვილ]კაცებს.
13. დედა ქალლმერთი [...]²
14. და მან გილგამეშის ქარებში (?) [...].

D_a i

- 5'. დედა ქალლმერთმა (ციდან) [ქვემოთ] ჩამოიხედა (?) [...]
- 6'. და [...] გულში ბრაზი [ჩაიდო].

§4

- 7'. [დედა ქალლმერთს ყველა] ღმერთმა
- 8'. საკრებულოს [ადგილას მოუხმო]. ის მივიდა და [თქვა (?):]
- 9'. „ეს [გილგამეში], რომელიც თქვენ შექმენით
- 10'. და [რომელიც] მე შევქმენი,
- 11'. (მის შესაქმნელად) (ერთმანეთს) [...] შევურიე“.

D_c i

- 1'. მაშინ ყველა [ღმერთმა, (რომლებმაც)]
- 2'. [გმირი] გილგამეში [შექმნეს], თქვეს:]
- 3'. „[გილგამეში] [ურუქელ ყმანვილკაცებს (გამუდმებით ჩაგრავს)“].
- 4'. [როდესაც] (დედა ქალლმერთმა) ეს მოისმინა, დედა [ქალლმერთმა]
- 5'. [მდინარისგან (?)] სიცოცხლის შემქმნელი ძალა³ მოიპოვა
- 6'. და ველად გმირი ენქიდუ შექმნა.⁴

§5

- 7'. გმირი ენქიდუ (ველადაა).
- 8'. [მას გარეული] ცხოველები ზრდიან,⁵ მისთვის [...]

¹ აღსანიშნავია, რომ შუამდინარული ტრადიციისგან განსხვავებით, ხეთურ ვერსიაში ურუქი არ არის გილგამეშის მშობლიური ქალაქი.

² შუმეროგრამით – DINGIR.MAH აღნიშნული ქალლმერთი, როგორც წესი, გულის-ხმობს ქალლმერთ ხანახანას, რომელიც გვხვდება ხეთურ მითებში გამქრალი ღვთაების შესახებ.

³ ტექსტში: *miyatār „ზრდა, აყვავება“*. ალბათ, იგულისხმება თიხა, რომელიც მდინარის ნაპირას მოიპოვებოდა. ბაბილონური ვერსიის თანახმად, ენქიდუს არურუ შექმნის თიხისგან, რომელსაც მოზელს და დახერწყავს.

⁴ ხეთურ ვერსიაში თავად ურუქელთა ჩივილი არ არის აღწერილი. ამ სტრიქონებში ნაჩვენებია მისი ქცევით უკმაყოფილო ღმერთების რეაქცია, რის საფუძველზეც დედა ქალლმერთი შექმნის ენქიდუს.

⁵ აწმყოში გადმოცემული ზმნები აქ ისტორიულ პრეზენსს გამოხატავს. გ. ბეკმანის-გან განსხვავებით, რომელიც ხეთურ ისტორიულ პრეზენსს ინგლისურ თარგმანში წარსული დროის ფორმებით გადმოსცემს, მე ვარჩიე, რომ თარგმანში (აქაც და შემდგომაც) ზმნებისთვის შემენარჩუნებინა დროის ის ფორმა, რომლითაც ის ხეთურ ტექსტშია მოცემული.

- 9'. აკეთებენ. საითაც [გარეული ცხოველები'] წავლენ [საბალახოდ],
- 10'. ენქიდუც მათთან ერთად [მიდის].
- 11'. [საითაც ისინი წავლენ] წყურვილის მოსაკლავად,
- 12'. ენქიდუც მათთან ერთად [მიდის].²

§6

- 13'. [ახალგაზრდა] კაცი, (სახელად) შანგაშუ, [მონადირე, ველად]
- 14'. გარეულ ცხოველებს ორმო-ხაფანგებს [და მახეებს]
- 15'. უგებს. [ენქიდუ კი მას წინ]
- 16'. გაუსწრებს [და ორმო-ხაფანგებს მიწით]
- 17'. მოასწორებს,³ [მახეებს კი, რომლებსაც (მონადირე) აგებს ხოლმე],
- 18'. მდინარეში [ყრის. (შანგაშუ)]
- 19'. წავიდა და [გილგამეშს (ეუბნება:)]
- 20'. „ახალგაზრდა კაცი [ჩემზე] ადრე მიდის,
- 21'. მას [...] მათ. ის ველ-მინდორს [იცნობს]
- 22'. და [ორმო-ხაფანგებს], რომლებსაც მე ვაგებ,
- 23'. მიწით [მოასწორებს ხოლმე],
- 24'. ხოლო მახეები, რომლებსაც [ვაგებ],
- 25'. [მიაქვს] და [მდინარეში]
- 26'. ყრის ხოლმე“.

§7

- 27'. გილგამეშმა შანგაშუს, [მონადირეს],
- 28'. მიუგო: „[მას] მეძავი ქალი
- 29'. მიუყვანე! დაე, დაწვეს ის [მეძავ ქალთან]!
- 30'. დაე, [ენქიდუმ ... მის წინაშე (?)] მუხლი მოიდრიკოს“.⁴

A_d

- 6'. შანგაშუმ [... ენქიდუს] მეძავი ქალი [მიუყვანა]
- 7'. [და ის მეძავ ქალთან] დაწვა.

§8

A_d

- 8'. [...] რაღაც [...]

¹ ბაბილონურ ვერსიაში ამ კონტექსტში ქურციკების ჯოგია ნახსენები.

² იმის მიუხედავად, რომ ფრაზაში არ გვაქვს -za უკუქცევითი ნაწილაკი, შემოთავაზებული თარგმანი ლოგიკურად მიმაჩნია. ის ახლოს ფგას ბაბილონურ ვერსიასთანაც. განსხვავებული თარგმანისთვის შდრ. CHD Š, გვ. 51: “Enkidu goes with the animals from the place from which he goes to pasture them and [from the place where] (Enkidu) [goes to w]ater (them), Enkidu also goes with them”.

³ შდრ. CHD Š, გვ. 1: “Šangašu, the young man, goes (?) and] sinks hunting pit[s] (to trap) wild animals. [But] En[kidu] goes [ahead of them (the animals (=šši))] and fills [the pits with earth]”.

⁴ მეძავი ქალის ენქიდუსთან მიგზავნით გილგამეში მიზნად ისახავს, რომ ადამიანთა სამყაროს აზიაროს ველური ბუნების მქონე ენქიდუ.

D_d

2'. [... მეძავი ქალი] ენქიდუს ეუბნება: [„...”]

3'. ჩვენ [ურუქში] წავალთ და [...“]

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

§9**D_f ii**

1'. [...]

2'. [...]

3'. [...] ენქიდუ

4'. [...] და ენქიდუ

5'. სადღესასწაულო [სამოსში] გამოეწყო (?)

6'. [...] მას [...]

(გაურკვეველი მოცულობის ხარვეზი)

§10**C_a ii**

1'. [...]

2'. [...] ურუქში [...]

3'. მას შეტყობინება

B_a

წინა მხარე

1'. [ენქიდუ (შანხათუს)] ეუბნება:

2'. „შიშის მომგვრელი [...“]. შანხათუ

3'. [ენქიდუს] მიუგებს : „გილგამეშ(თან)

4'. [... ყმანვილი ქალები] მიჰყავთ ხოლმე. [როდესაც] ყმანვილ კაცს

5'. [ქალს] რთავენ ცოლად, სანამ მას

6'. [მისი ქმარი] მიეკარება,

7'. [ის ქალი] გილგამეშთან მალულად (?) [მიჰყავთ (?)]“.¹

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

§11

8'. [როდესაც] ენქიდუმ ეს ამბავი შეიტყო,

¹ ტექსტში: EGIR-an ar-ḥa x [...]. გ. ბეკმანის აზრით, თარგმანი „მალულად“ დამაჯერებელი არ უნდა იყოს (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ.42), თუმცა ის იქვე იმოწმებს რ. ბილის ნაშრომს (Beal, *Hittite Oracles*, გვ. 78, შენ. 130), სადაც *appan arha waštul* თარგმნილია როგორც „ფარული(?) დანამაული“. ხეთური ტექსტის შემდგენელმა შესაძლოა არ იცოდა, რომ შუმერის მეფეები იყენებდნენ მათთვის სრულიად კანონიერ პირველი დამის უფლებას და ამით აიხსნება, რომ წარმოგვიდგენს გილგამეშის ამ ქმედებებს როგორც დანამაულს, რომელსაც ის ფარულად სჩადიოდა (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10). გილგამეშის ეპოსის ძველაბილონური ვერსიის ანალოგიურ პასაუზზე ე. ჯორჯის დაკვირვებით, ეს პრაქტიკა ძველაბილონური ტრადიციისთვისაც უცხო უნდა ყოფილიყო (George, *The Babylonian Gilgamesh Epic*, გვ. 170-171).

9'. [მას ბრაზი] მოერია და გილგამეში [...]

10'. [...] წინ (და) გაბრუნდა (?) [...]

11'. [...]¹

C_a ii

14'. [... გილგამეშმა (და) ენქიდუმ თქვეს:]

15'. [„...“. (შემდეგ ერთიმეორეს)] ხელი სტაცეს²

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

D_g ii

9'. და [...] დაუყოვნებლივ
(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

§12

10'. დაეჭიდნენ ერთმანეთს [... (გილგამეში) და] ენქიდუ.

11'. [(გილგამეში)] ენქიდუს

12'. [მოერია (?)].³ [შემდეგ კი] მათ (ერთმანეთი) გადაკოცნეს (?).⁴

14'. [და (როდესაც ჭამეს და სვეს), გილგამეშმა] ენქიდუს

15'. უთხრა: „[...], რადგან ხეები (?)

16'. გაიზარდნენ. მაშინ შენ [მინდორ-ველად (?)] დახეტიალობდი,

17'. [... მინდორში (?). ენქიდუმ]

18'. [გილგამეშს მიუგო:]

19'. [„ ... (ხეები (?)]

20'. [...]

21'. [... ხუვავა ...“].

22'. [... და გილგამეშმა,] მეფემ,

23'. [ენქიდუს ...] უთხრა:

¹ შემორჩენილი ცალკეული ნიშნების საფუძველზე მეტ-ნაკლებად გაპტული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. როგორც მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, რომ ენქიდუ გადაწყვეტს გილგამეშთან წასვლას მასთან შესაბრძოლებლად. ხეთურ ვერსიას აკლია გილგამეშის სიზმარი, რომელშიც ენქიდუს მოსვლა ნაუწყები. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ანატოლიურ ტრადიციაში არ არის მოხსენიებული გილგამეშის დედა – ნინსუ, რომელიც ეპოსის შუამდინარულ ტრადიციაში გილგამეშის სიზმრების მთხოვბელის როლში გამოდის (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 8).

² მომდევნო მე-16', მე-17', მე-18' დაზიანებულ სტრიქონებს მოსდევს დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი.

³ გ. ბექმანის სამართლიანი შენიშვნით, სახელი „ენქიდუს“ აკუზატივის დაბოლოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ აღდგენილი ზმნის სუბიექტი და, შესაბამისად, გამარჯვებული ამ ორთაბრძოლაში გამოდის გილგამეში (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42). ამასთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე George, *The Babylonian Gilgamesh Epic*, გვ. 191-192.

⁴ მომდევნო სტრიქონი დაზიანებულია.

24'. „ჩვენ [...] მომავალში

25'. [... (წავალთ)]“.¹

§13

E_b

5'. [...] გილგამეშს მებრძოლთა ლაშქარი

6'. [ურუქისა] შეუერთდა,²

7'. [მათ ...]. (გილგამეშმა) ნადიმი გამართა,

8'. [საკრებულოს ადგილას მთელ ჯარს მოუხმო.

9'. [... გილგამეშმა] ჯარს განუცხადა:

10'. „ხუვავა უნდა ვიხილო!“

(დაახლოებით ათი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

§14

E_a iii

1'.³

§15

2'. [...] გილგამეში [და ენქიდუ]

3'. [...] ნავიდნენ და 20 DANNA⁴-ს (გავლის შემდეგ)

4'. [(საჭმელი) შეჭამეს, ხოლო 30] DANNA-ს (გავლის შემდეგ) დაწვნენ დასაძინებლად [...].

D_g iii

2'. [... და] როდესაც მდინარე მალას⁵ ნაპირს

3'. [მიადგნენ, ღმერთებს] მსხვერპლი შესწირეს.⁶ იქიდან კი [(წავიდნენ?)]

¹ ამ ეპიზოდში ლაპარაკია კედრის ტყეში გილგამეშის და ენქიდუს ერთობლივი ლაშქრობის დაგეგმვაზე, მომდევნო სტრიქონებში კი მოკლედ ნახსენებია თათბირი ურუქელ მებრძოლებთან და საკრებულოსთან.

² ე. რიკენის თარგმანის მიხედვით, „გილგამეშის ჯარი შეიკრიბა“ (“[...] (des?) Gilgamesch Heer [ver]sammelte sich [...]”) (Rieken (et al.), *CTH 341.III.1* სტრიქ. 101), რაც, ჩემი აზრით, ნაკლებად დამაჯერებელია. არ მგონია, რომ „გილგამეში“ აქ მსაზღვრელი იყოს „ლაშქართან“ მიმართებით.

³ მხოლოდ ცალკეული ნიშნებია შემორჩენილი. სავარაუდოდ, აქ მოთხრობილი უნდა იყოს გილგამეშისა და ენქიდუს კედრის ტყეში გამგზავრების შესახებ.

⁴ DANNA (სიგრძის ერთეული, 2 საათის სავალი, დაახლ. 10 კმ.) (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 9, გვ. 30); შესაბამისად, 20 DANNA გამოდის დაახლ. 200 კმ., ხოლო მომდევნო სტრიქონში ნახსენები 30 DANNA – 300 კმ.; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “20 leagues, 30 leagues”; Rieken et al., *CTH 341.III.1* (სტრიქ. 110-111): “20 Meilen, 30 Meilen”.

⁵ მდინარე ევფრატის ხეთური სახელნოდება. აღსანიშნავია, რომ ეს მდინარე, როგორც გეოგრაფიული ნიშნული, გილგამეშის ეპოსის მხოლოდ ხეთურ ვერსიაში გვხვდება და აისანება ევფრატის მნიშვნელობით ხეთებთან.

⁶ შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 113).

4'. [და მეთ] ექვსმეტე (?) დღეს მთების შუაგულს მიაღწიეს.¹

§16

- 5'. [და როდესაც ...] მთების შუაგულს მიაღწიეს, მთებს
- 6'. [გახედეს (?)] და კედარი დაინახეს.²
- 7'. ხუვავამ მათ [... მთიდან] გადმოხედა³
- 8'. [[და ჩაილაპარაკა]:] „რადგან მათ ღმერთის ადგილებს [მიაღწიეს],
- 9'. [...] ღმერთის კედრის
- 10'. [მოჭრა(ც)] (ხომ არ) აქვთ დასრულებული, (ნეტავ)?“⁴
- 11'. [მაშინ ენქიდუმ] და გილგამეშმა თქვეს:
- 12'. „[ღმერთმა ...] ეს არაკეთილმოსურნე⁵ მთები
- 13'. [კედრით] უხვად დაფარა.
- 14'. [ისინი] მცენარეულობითაა⁶ სავსე⁷
- 15'. [და ადამიანისთვის] იქ გავლა
- 16'. [არ არის შესაძლებელი]. კედრის ტოტები
- 17'. [...] უპყრიათ მათ და [ისინი ...] მთებს შორის
- 18'. [...]-დან ძირს ეშვება
- 19'. [...] ხუვავა.

¹ ეს ეპიზოდი ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე ბაბილონურ ვერსიაში (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 275). ხეთურ ვერსიას აკლია აგრეთვე გილგამეშის სიზმრები, რომლებითაც მას წინასწარ ეცნობა ხუვავასთან დაპირისპირებისა და მზის ღვთაების მხარდაჭერის შესახებ. თუმცა, ეს მონაკვეთი ბოლაზქოში აღმოჩენილ ორსავე აქადურ ვერსიაშია დადასტურებული.

² ტექსტში: *gišERIN-ma-aš-ma-aš ša-ku-uš-kán-z[i]*. პირის ნაცვალსახელის რეფლექსი-ური ხმარებისთვის შდრ. CHD ᬁ, გვ. 56 და Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*, გვ. 358. გ. ბეკმანის აღნიშვნით, „გეოგრაფიული ფოკუსის გადანაცვლება სამხრეთ შუამდინარეთიდან ამანუსისკენ ან ტავროსის მთებისკენ უეჭველად იმ ფაქტით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელი ხეთების გავლენის სფეროში იყო მოქცეული“ (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 5).

³ იხ. CHD ᬁ, გვ. 56; იხ. იქვე მითითებები სხვა თარგმანებზე.

⁴ შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “Seeing that [they have reached] the place of the god, have they finished [cutting down ...] the god’s cedars?”; Rieken (et al.), CTH 341.III.1 (სტრიქ. 122): “Sie haben aber die Zedern der Gottheit [...] entfernt”.

⁵ სიტყვასიტყვით: „არასასურველი, საძულველი“ (*Ü-UL a-aš-ši-ya-an-te-es*).

⁶ ხეთურ *lappina*-ს, ფ. ჰასის აზრით, აქადურად შეესაბამება *gissu* „ეკალბარდი“ (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 275); შდრ. „ჭინჭარი (???)“ (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიონი, ნაკვ. 4, გვ. 24).

⁷ სიტყვასიტყვით : „ნალეკილი“ (?); შდრ. Rieken (et al.), CTH 341.III.1 (სტრიქ. 126): “[...] mit der *lappina*-Pflanze fließende [...]”; Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 1, გვ. 171: “[over]flowing’ (with vegetation)”. ზოგ თარგმანში კი ზმნა გაგებულია არა როგორც „დენა, დინება“ (*arš(iye)-*), არამედ როგორც „დარგვა“ (*aršai-/aršiya-*); CHD L-N, გვ. 45: “[the ...s] are planted with *lappina*-plants...”; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “[They] are covered in brambles(?)”.

20'. [მუსიკოსივით] ურტყამენ¹ [...].

§17

- 6'. როდესაც გილგამეშმა [ხუვავას (ნაკვალევი)]
- 7'. დაინახა, მივიდა [...]
- 8'. და მას შიში მოჰვარა.²
- 9'. და ენქიდუმ [გილგამეშს უთხრა:]
- 10'. „რატომ [...] და მის]
- 11'. წინააღმდეგ რატომ [...] განა შენ ხუვავას]
- 12'. მხარეს არ იყავი?³
- 13'. ხუვავა [რომ] ჩემ წინააღმდეგ [...],
- 14'. მაშინ ადამიანი ძლიერ [...].
- 15'. და თუ ის [...],
- 16'. მაშინ ის ჩვენ [...].
- 17'. ვაჟკაცობით [...]“.⁴

§18

- 18'. [და მათ], ვინც [...]
- 19'. [...] ენქიდუ [...]

(მცირე ზომის ხარვეზი)

C_a iii

- 1'. [...] ციდან
- 2'. [...] მისი თავი
- 3'. [...]

§19

- 4'. [ენქიდუმ ...] ცული ხელში დაიჭირა
- 5'. [და ...], ხოლო როდესაც გილგამეშმა
- 6'. [ეს] დაინახა, მანაც ცული
- 7'. [...] დაიჭირა [ხელში]
- 8'. [და მანაც (კედარი)] მოჭრა.

¹ ტექსტში: [ha-a]z-z-i-kán-zi (*hazzik(k)-* „დარტყმა; აგრეთვე დაკვრა (დასარტყამ მუსიკალურ საკრავზე)“ (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 2, გვ. 64).

² მომდევნო ფრაზის გათვალისწინებით, მასში, ვისაც გილგამეშმა შიში მოჰვარა, უნდა იგულისხმებოდეს ენქიდუ, რომელიც ხუვავასთან შებრძოლების გადაწყვეტილებამ დააფრთხო.

³ შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “Won’t [you] stand with [Huwawa ...?]”. თუმცა, გ. ბეკმანისვე აღდგენის საფუძველზე, ხეთური ზმნა წარსული დროის ფორმითაა მოცემული.

⁴ როგორც ჩანს, ენქიდუ გამოთქვამს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხუვავასთან შებმა მათ გამარჯვებას არ მოუტანს და მას მხოლოდ ვაჟკაცობით ვერ მოერევიან.

- 9'. [ხოლო როდესაც ხუვავას] ხმაური (?)¹ შემოესმა,
- 10'. ბრაზი მოერია (და თქვა :) „ვინ მოვიდა და
- 11'. კედრის ხეები, რომლებიც ჩემთვის გაიზარდნენ მთების
- 12'. [წიაღში], (ვინ) მოჭრა?“²

§20

- 13'. ციდან მათ
- 14'. ცის მზის ღვთაებამ გადმოსძახა: „წადით!
- 15'. ნუ შეშინდებით!
- 16'. წადით, სანამ ის
- 17'. სახლში შესულა, [... სანამ ...]
- 18'. თავისი მოსასხამი³ (?) [მოუსხამს]. როდესაც]
- 19'. ენქიდუმ [ეს] გაიგო, [ბრაზი]
- 20'. მოერია. ენქიდუ
- 21'. და გილგამეში (ხუვავასკენ) გაემართნენ
- 22'. და ხუვავას შეებრძოლნენ⁴

D_c iv

16. მთებში. (სანამ შეებრძოლებოდნენ), [ხუვავა] მათ
17. დაემუქრა: „[მე ...] თქვენ ზემოთ [...]
18. და ცაში აგიყვანთ.
19. თავის ქალებზე⁵ დაგცხებთ და [ქვემოთ]
20. ბნელ [მიწაში]⁶ ჩაგიყვანთ“.
21. ზემოთ ისინი კი [...], მაგრამ ცაში ვერ [აიყვანა].⁷
22. თავის ქალებზე [დასცხო] მათ, მაგრამ ქვემოთ ბნელ [მიწაში]
23. ვერ ჩაიყვანა. [ხუვავა] შეიპყრეს
24. და თმით მთებში [...].
25. შემდეგ ერთმანეთს ოფლი მოწმინდეს.

¹ Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 156); შდრ. Görke, *Das Ritual der Aštu*, გვ. 52.

² CHD Š, გვ. 88; შდრ. Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*, გვ. 147: “Wer ist gekommen, ... die als meine großgezogenen worden sind inmitten der Berge und hat die Zeder gefällt?“.

³ ხეთ. *galpariwala-*. შდრ. Melchert, *Cuneiform Luvian Lexicon*, გვ. 98; Starke, *Untersuchung zur Stammbildung*, გვ. 271, შენ. 919. მზის ღვთაების გარდა, შეშინებულ ენქიდუს, როგორც ჩანს, გილგამეშიც ამხნევებს ხუვავასთან შესარკინებლად (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 8). თუმცა, ფირფიტაზე არსებული ხარვეზის გამო მე-17¹ სტრი-ქონიდან ეს არ ჩანს.

⁴ შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 4, გვ. 50; *HW²*, ტ. III, გვ. 87.

⁵ იხ. Tischler, *Der Ortsname Tarsos*, გვ. 347-348; Tischler, *Hethitisches Etymologisches Glossar*, ტ. III, გვ. 221.

⁶ „ბნელი მიწა“ ქვესკნელს აღნიშნავდა ხეთურ კოსმოლოგიურ წარმოდგენებში.

⁷ იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41, შენ. 137.

26. დაბმული ცხენები¹ ფლოქვებს სცემენ.²
27. ბუღმა, რომელიც დადგა,³
28. ცა დათარა. გილგამეშმა
29. ცის მზის ღვთაების ტახტს ზემოთ ახედა
30. და მოთქვამდა.⁴ [(ცის მზის ღვთაების ტახტიდან (?))] კი
31. [...ში] ჩაიხედა. მისი ცრემლები სარწყავი არხებივით
32. [მიედინებიან].

§21

C_b iv

- 15'. გილგამეში ცის მზის ღვთაებას [ეუბნება:]
- 16'. „აი, ის დღეც [...] ქალაქში,
- 17'. რადგან მან ქალაქში [...] კვლავ დაასახლა.⁵

§22

- 18'. მე კი ცის მზის ღვთაებას [ლოცვით მივმართე?],
- 19'. გზის გავუყევი და ის ბრძოლით [...].“
- 20'. ცის [მზის] ღვთაებამ გილგამეშის ლოცვა
- 21'. შეისმინა და ხუვავას წინააღმდეგ
- 22'. მოიხმო დიდი ქარები: სამხრეთის ქარი, ჩრდილოეთის ქარი, [აღმო-სავლეთის ქარი,⁶ დასავლეთის ქარი],
- 23'. [ძლიერი ქარი], ცივი ქარი, [ქარიშხალი],
- 24'. (და) ხორშაკი.⁷ რვა ქარი ამოვარდა და [ხუვავას]
- 25'. თვალებში დაარტყა.⁸
- 26'. მან ვერც გზის გაგრძელება,
- 27'. შეძლო, ვერც უკან გაბრუნება

¹ შდრ. იქვე, გვ. 41: “posted horses” (თარგმანთან დაკავშირებული კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 43).

² თარგმანი პირობითია და ემყარება გ. ბეკმანის მიერ შემოთავაზებულ აღდგენას (*ar-ri-ya-an<-ta>-ti*), რომელსაც შემდეგნაირად თარგმნის: „მოუსვენრად არიან“ (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 39; 41; კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 43); შდრ. *HW²*, ტ. I, გვ. 295; შდრ. აგრეთვე Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 185), სადაც *arriyanti* გაგებულია როგორც ხეთური ზმნის *arr-*, *ar(r)a-*, *arriya-* „ბანა, რეცხვა“ ლუვიური ფორმა და ფრაზა ასეა თარგმნილი: “Die Pferde, den feststecken[den Staub.] waschen? sie”.

³ შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 1, გვ. 125; Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 186).

⁴ შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 189); იხ. აგრეთვე, Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*, გვ. 490.

⁵ ფრაზა საკმაოდ ბუნდოვანია. გ. ბეკმანის ვარაუდით, ენქიდუს დასახლებაზეა ლაპარაკი (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42).

⁶ ტექსტში: ^{1M}ŠADÛ „მთის ქარი“.

⁷ ტექსტში: ^{1M}ANHULLU; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “Destructive Wind”.

⁸ შდრ. *CHD Š*, გვ. 73.

28'. შეძლო. ხუვავა დაეხსნა¹ (გილგამეშს).

§23

29'. ხუვავამ გილგამეშს უთხრა:

30'. „დამეხსენ, გილგამეშ! ჩემი ბატონი იყავ!

31'. მე კი, დაე, შენი მსახური ვიყო! კედრის ხეები,

32'. რომლებიც გავზარდე, შენთვის [წაიღე (?)].²

33'. დიდ ძელებს [...]

34'. მოვჭრი³ და ხალენთუ⁴ [...].“.

35'. ენქიდუ [ეუბნება გილგამეშს:]

36'. „ხუვავა, რასაც [გეტყვის],

37'. ნუ [დაუგდებ ყურს ...],

38'. ხუვავას ნუ [გაათავისუფლებ! ...]“

39'. [...] მთებში [...]

(მცირე ხარვეზი)

§24

G

1'. ენქიდუმ [კი გილგამეშს]

2'. მიუგო: [„...”]

3'. როგორც [...]

4'. შენი, [გილგამეშის ...,]

5'. სანამ [ის სახლში (?)]

6'. ჯერ არ [შესულა, ...]

7'. წახვალ“.⁵

კოლოფონი (D)

პირველი ფირფიტა, „სიმღერა [გილგამეშისა]“, დაუსრულებელი. ხელი იბიცისა.⁶

¹ ასე თარგმნის მიხეილ წერეთელიც, რომლის 1924 წელს გამოცემულ „გილგამეშიანში“, ენქიდუს სიზმრის მცირე მონაკვეთის გარდა, ეპოსის იმ დროისთვის ცნობილი ეს ხეთურებნოვანი ეპიზოდიც არის გათვალისწინებული (იხ. გილგამეშიანი, გვ. 36); შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “Then Huwawa gave up”. ჩემი აზრით, ხეთური ზმნის (*arha dalilya*) წერეთლისეული თარგმანი უფრო ზუსტია. თუმცა, უცნაურია, რომ მოძევნო ფრაზის თანახმად, ხუვავა თავად ითხოვს, რომ გილგამეში დაეხსნას მას.

² შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “[Take (?)] the cedars that I have raised for you”.

³ შდრ. CHD P, გვ. 375-376.

⁴ „საკულტო ნაგებობა (სასახლის ტერიტორიაზე)“ (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 2, გვ. 23).

⁵ ეს ზმნა გ. ბექმანის თარგმანში რატომლაც გამოტოვებულია (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42).

⁶ ტექსტის ჩამნერის სახელი.

II ფირფიტა

§1

A_a i

1. [მთები]
2. [...] ხუვავას
3. [მთებიდან ...], ის მათ დაბლა უჭირავთ (?).¹

(დიდი მოცულობის ხარვეზი)

§2'

A_b ii

1. [ენქიდუ გილგამეშს] ეტყვის:
2. „[ზემოთ] ავიდეთ!² [...], ჩვენ თუ მთებში [(არ წავალთ)³],
3. [...] ღვთაება ენლილს რას მივუტანთ?
4. კედარი უნდა მოვჭრათ!⁴ ვინც [...]
5. ენლილის ტაძრის ჭიშკარი ერთი მხრიდან [...],
6. მათ შენ გამოგამწყვდიეს.⁵ დაე, ისინი ასევე (გამომწყვდეული?) იყვნენ!“
7. მათ კედარი მოჭრეს⁶ და მდინარე მალას [მიადგნენ].
8. როდესაც ხალხმა (კედარი)⁷ დაინახა,
9. გაუხარდათ [...].
10. გილგამეშმა [და] ენქიდუმ [დასვრილი]
11. სადღესასწაულო სამოსი გაიხადეს,
12. ჭუჭყი მოიშორეს [...]
13. და მათ [...],

¹ ტექსტში: *halluwa ḥark[anzi]*. თარგმანისთვის შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 44: “they hold him down low”; Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 3, გვ. 48: “‘they hold him deep’ (adverbial nom./acc.pl.)”. მ. ბაჩვაროვას აზრით, გილგამეში და ენქიდუ ხუვავას მიწაზე ჩამოთრევას ცდილობენ, მის მოსაკლავად (იხ. Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 68). კონტექსტი საკმაოდ ბუნდოვანია. ჩემი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ *hal-lu-wa-<?->* უკავშირდებოდეს ზმნას - *halluwai*- „დავა, ჩხუბი, მტრობა“.

² გ. ბეკმანი ზმნის მოცემულ ფორმას – *ú-wa-u-en* აქ იმპერატივის ნაცვლად პრეტერიტად მიიჩნევს და შესაბამისად თარგმნის: “[When(?)] we came [forth...] to the mountains, [we ...]” (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45).

³ აღვადგენ ლოგიკურად.

⁴ შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45: “Should we really fell the cedars?”; პოტენციალისისთვის იხ. CHD L-N, გვ. 142.

⁵ ტექსტში: *parā istappnuir*; თარგმანისთვის შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 2, გვ. 473-74: “they shut you out”.

⁶ ალბათ, ენლილის ტაძრის ჭიშკრის ასაგებად.

⁷ ზოგი თარგმანის მიხედვით, ზმნის პირდაპირ ობიექტში აქ „გილგამეში“ და „ენქიდუ“ იგულისხმებიან. იხ. მაგალითად, Rieken (et al.), *CTH 341.III.2* (სტრიქ. 11): “Als das La[n]d sie (kommen) sa[h]”; CHD L-N, გვ. 282-284. ჩემი აზრით, *-at* ნაცვალსახელი მე-8 და მე-9 სტრიქონებში კედარს გულისხმობს.

14. [ხოლო] როდესაც [...]

(ხარვეზი)

§3'

B

უკანა მხარე?

- 1'. [გილგამეში] იშთარს [ეუბნება:]
- 2'. „მე შენ ხალენთუს [... აგიშენებ]”
- 3'. და [ზეძირკვლებს],¹
- 4'. ხოლო ჭიშკრის ზღურბლს [ლილაქვით]
- 5'. და მენამული ქვით (?)² მოვრთავ“.
- 6'. [იშთარი] გილგამეშს მიუგებს:
- 7'. [„განა არ] იცი, გილგამეშ [...],
- 8'. [რომ ...] (აქ) არ არის?
- 9'. [და რომ] ვერცხლით [და ოქროთი (?) ... ვერ ... ?]“
- 10'. (გილგამეში კვლავ ეტყვის იშთარს: [„ჭიშკრის] ზღურბლს [...]
- 11'. ლილაქვით [და] მენამული ქვით (?) [მოვრთავ].

§4'

- 12'. [იშთარი] გილგამეშს [მიუგებს:]
- 13'. [„მოდი], გილგამეშ, ჩემი [ქმარი იყავი!]“
- 14'. [...] გილგამეში [იშთარს]
- 15'. ეტყვის: [„...”]
- 16'. [... დაე, ის გახდეს (?) ... !]
- 17'. [... ა]რ [...].³

(ხარვეზი)

§5'

C ii⁴

¹ გ. ბეკმანი აქ აღადგენს: [^{GIS} pal-z]a²-ah-hu-uš (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45), რაც ითარგმნება როგორც „ცოკოლი, ზეძირკველი, საყრდენი, პიედესტალი (ქანდაკების, სამსხვერპლოსი)“ (ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 5, გვ. 21).

² იხ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 4, გვ. 189; მდრ. Polvani, *La terminologia dei minerali*, გვ. 32, შენ. 4.

³ ეს ხარვეზიანი ფრაგმენტი, ალბათ, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ გილგამეში უარყოფს იშთარის სიყვარულს, ხოლო მომდევნო დაზიანებულ სტრიქონებში, სავარაუდოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ მეგობრებს მოუწევთ ამ უარის პასუხად ცის ხართან გამკლავება.

⁴ ამ პარაგრაფში შემორჩენილი სავარაუდოდ ოთხი სტრიქონი ძლიერ დაზიანებულია. ცალკეული სიტყვების საფუძველზე, გ. ბეკმანი აღადგენს ტექსტს შემდეგაირად: “[...] And they will die [in droves ...]” (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45).

§6'

- 5'. [ენქიდუ] რომ [...],¹
- 6'. მაშინ მათ გილგამეში [...]
- 7'. გმირს [და ურუქელ] მებრძოლებს [...].
- 8'. შემდეგ ისინი [ურუქიდან (?) გაემგზავრნენ (?)].
- 9'. გმირმა [და ურუქელმა] მებრძოლებმა [... თქვეს:]
- 10'. „ცის ხარი [...]”
- 11'. [...]”²

III ფირფიტა

Aa i

§1

1. „[სანამ] ჩვენ გვეძინა, გათენდა“.³
2. ენქიდუმ გილგამეშს (ასე) [დაუწყო] ლაპარაკი:
3. „[ძმაო] ჩემო, (მოისმინე) სიზმარი, რომელიც დამით [ვნახე]:
4. ღვთაება ანუ, ენლილი, ეა და ცის მზის ღვთაება [მოსულიყვნენ]
5. და ანუ ენლილს ეუბნებოდა:
6. ‘რადგან მათ ცის ხარი მოკლეს, [ხუვავაც]
7. მოკლეს – (ხუვავა), რომელმაც მთები კედრით უხვად დაფარა’,⁴
8. – (ასე) თქვა ანუმ, – ‘მათგან [ერთი უნდა მოკვდეს!]’
9. ენლილმა კი თქვა: ‘დაე, ენქიდუ მოკვდეს!
10. გილგამეში კი არ უნდა მოკვდეს.’

§2

11. ცის მზის ღვთაებამ ენლილს, გმირს, მიუგო:
12. ‘განა მათ შენი⁵ ბრძანებით არ მოკლეს

¹ ამ ფრაზაში იკითხება მოდალობის (ოპტიატივის, ირეალისის ან პოტენციალისის) გამომხატველი ხეთური ნაწილაკი man. ზმანა, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის. შესაბამისად, ფრაზის თარგმნა ვერ ხერხდება.

² სამწუხაროდ, მხოლოდ ნიშნების კვალი ჩანს. გ. ბეკმანის აზრით, ხეთურ ტექსტში – მეორე ფირფიტის პირველ და მეორე პარაგრაფებს შორის ან მესამე ფირფიტის პირველი პარაგრაფის ნინ – უნდა აღდგეს გილგამეშისა და ენქიდუს ურუქეში დაბრუნების ეპიზოდი (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9).

³ შდრ. იქვე, გვ. 50: “[...] we were sleeping”. It dawned, [and] Enkidu said to Gilgamesh...”; შდრ. აგრეთვე, Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*, გვ. 157; Ricken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 1); Mouton, *Rêves hittites*, გვ. 111.

⁴ იხ. იქვე, გვ. 112-113, შენ. 58; იხ. აგრეთვე, Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50; განსხვავებული თარგმანისთვის იხ. Ricken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 8-10): “Warum haben die den Himmelsstier getötet? [Und warum] haben sie Ḫuwa[wa] getötet, der die Berge von Zeder freige[macht hat?]”.

⁵ იხ. Stefanini, *Enkidu's Dream*, გვ. 43-44; გ. ბეკმანის აზრით, ტექსტში შეცდომაა და უნდა ყოფილიყო „ჩემი“, რადგან სწორედ მზის ღვთაება დაეხმარა გილგამეშსა და ენქიდუს ხუვავას დამარცხებაში (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50, 52); იხ. აგრეთვე Schott, *Das Gilgamesch-Epos*, გვ. 57, შენ. 1.

13. ცის ხარი და ხუვავა? ახლა კი უდანაშაულო
14. ენქიდუ (უნდა) მოკვდეს? ენლილი ცის მზის ღვთაებას
15. განურისხდა (და უთხრა): ‘რად დაჰყვები მათ
16. მათი მეგობარივით ყოველდღე? ’¹ ენქიდუ
17. გილგამეშის წინ დაწვა დასაძინებლად
18. და მისი ცრემლები სარწყავი არხებივით [მიედინებოდნენ].
19. (ენქიდუ ეუბნება გილგამეშს:) „ძმაო ჩემო, ჩემი ძვირფასი ძმა (ხარ).² ჩემს ძმასთან მე [არ]
20. ამომიყვანენ (ქვესკნელიდან)³ და მე მიცვალებულთა სულებს შორის
21. დავიდებ ბინას, [მიცვალებულთა სულების] (სამყოფლის) ზღურბლს [გადავლახავ]
22. და ჩემს ძვირფას ძმას თვალით ვეღარ [ვიხილავ].
(ხარვეზი)

**A_b ii
§3'**

1. [...] გილგამეში [...]თვის
2. [...] რაიმეს მოათავსებს /დაადგენს და მას [(განაცხადებს) ...]
3. [...] და მას ვეზირად გახდის [...].
4. [...] ის შეშინდება.

**B ii
§4'**

- 3'. ხოლო როდესაც გილ[გამეშმა ენქიდუს სიტყვა]
- 4'. მოისმინა, [მისი ცრემლები სარწყავი არხების]
- 5'. მსგავსად მიედინებოდნენ [...],
- 6'. მისი თვალები კი [...],

§5'

- 7'. ხოლო როდესაც [...]
- 8'. [...]⁴

¹ ამ ეპიზოდის ანალიზისთვის იხ. Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 68-69. მისი აზრით, ენქიდუ შეიძლება განვიხილოთ როგორც გილგამეშის რიტუალური სუბსტიტუტი.

² შდრ. *CHD L-N*, გვ. 365.

³ იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50; ჩემი აზრითაც, ხეთური ზმნა *parkiyani-ქვესკნელიდან* ამოყვანას უნდა გულისხმობდეს. განსხვავებული თარგმანისთვის იხ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 25): “werden sie mich [nicht] (vor) meinem Bruder aufstehen lassen?”; *CHD P*, გვ. 160.

⁴ გაურკვეველია, ხეთური ვერსია თავდაპირველი სახით შეიცავდა თუ არა ენქიდუს მიერ მონადირისა და მეძავი ქალის, შანხათუს წყვევლასა და დალოცვას. გ. ბექმანის ვარაუდით, ეს ეპიზოდი შეიძლება აღვადგინოთ მესამე ფირფიტის დაზიანებულ ნაწილში, ჭ5'-სა და ჭ6'-ს შორის (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9).

(ხარვეზი)

C ii

§6'

1. სანამ მას/მისთვის ქალაქი ითიხა [...],
2. (...?) გადააგდო.¹ მაგრამ როდესაც [ღვთაება (?) ...]
3. დაინახა, მაშინ გილგამეშმა [...].
4. ის მთებში გაიქცა² და [...]
5. მოთქვამდა³: „როდესაც კაცს [...]”
6. მოკლავენ, ქალი სახლიდან მიდის“.⁴
7. ასე მოექცა მას გილგამეში და ქვეყანა [მიატოვა (?)].
8. [ის] ქვეყნიდან გადაიხვენა და მთებში
9. დახეტიალობდა.⁵ რომელი მთები გადაიარა
10. და რომელი [მდინარეები] გადალახა, კაციშვილმა [არ უწყის].

§7'

11. ის ხოცავდა ცხოველებს: გარეულ ხარს [...]
12. [...], ხოლო როდესაც მან მთების შუაგულს
13. [მიაღწია], ორი (...)° ღომი
14. [მოკლა.] გილგამეშმა მთების შუაგულს მიაღწია
15. [...] ჩიტი [...].⁷

(ხარვეზი)

E

§8'

- 1'. დახეტიალობდა გარშემო (?) [...],
- 2'. [არაფერს] ამბობდა,
- 3'. [...] (...) (?) შორს [...].⁸

¹ არ ჩანს, რის გადაგდებაზეა ლაპარაკი.

² შდრ. CHD P, გვ. 355.

³ იხ. Tischler, *Hethitisches Etymologisches Glossar*, ტ. III, გვ. 256-257.

⁴ იხ. Stefanini, *Enkidu's Dream*, გვ. 46; გ. ბეკმანის აზრით, აქ ჩართულია მწუხარების გამომხატველი ანდაზა (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51, 52); ტექსტის ამ პასაჟის განსხვავებული წაკითხვისა და თარგმანისთვის იხ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 2, გვ. 322: “when they bring off the ‘chaff’, from a woman’s house forth [wailing comes?]”; Rieken (et al.), CTH 341.III.3 (სტრიქ. 44-45): “Wo[hin?] sie das Stroh [bri]ngen, [...] ihm eine Frau aber [...] aus dem Haus hervor”.

⁵ შდრ. Rieken (et al.), CTH 341.III.1 (სტრიქ. 49).

⁶ ტექსტი: *pít-ta-nu-um-m[i]-en[-za/i]*, ლუვიური სიტყვა, რომლის მნიშვნელობა არ არის დადგენილი, ლომების ეპითეტად არის ნახსენები.

⁷ მომდევნო ორ სტრიქონში შემორჩენილია ცალკეული ნიშნების კვალი.

⁸ ენქიდუს დაკრძალვის და მორიელ-კაცებთან გილგამეშის შეხვედრის ეპიზოდი ხე-თურ ვერსიაში არ გვხვდება.

§9'

- 4'. ხოლო [როდესაც] გილგამეშმა ზღვას [მიაღწია]¹
- 5'. ზღვას ქედი მოუხარა და [ღვთაებრივ]² ზღვას ეუბნება:
- 6'. „შორს იყავ³ დიდო ზღვაო!
- 7'. მებრძოლები, რომლებიც [შენ გეკუთვნიან], დაე, ისინი (...) [იყნენ!]⁴
- 8'. [ღვთაებრივმა] ზღვამ გილგამეში, [...]
- 9'. [და] ბედისწერის ღვთაებები დაწყევლა.

§10'

- 10'. [...] ზღვა [...]
- 11'. [...] ზღვის] გაღმა [...]
- 12'. [...] შემდეგ [...]
- 13'. [...] ხელით (?) [...]

(ხარვეზი)

B iii

§11'

- 2'. [...] მთვარის ღმერთმა, გმირმა, [გილგამეშს(?) უთხრა]:
- 3'. „ის ორი [ლომი], რომლებიც შენ
- 4'. დახოცე, ⁵ წადი და მათგან ორი გამოსახულება გამიკეთე!
- 5'. ისინი ქალაქში წაიღე!
- 6'. მთვარის ღვთაების ტაძარში წაიღე ისინი!⁶

§12'

- 7'. როდესაც გათენდა, გილგამეში [...] მსგავსად
- 8'. გაუდგა გზას.⁷ როდესაც ის [ზღვას(?) ...]
- 9'. მიადგა, (ხედავს, რომ) სიდური, მედუქნე ქალი [ოქროს ტახტზე]

¹ ზღვასთან სტუმრობის ეპიზოდი და მომდევნო სტრიქონებში აღნერილი შეხვედრა მთვარის ღმერთთან მხოლოდ ხეთურ ვერსიაშია დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით, იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9-10.

² აღსანიშნავია, რომ ზღვას აქ ღმერთის აღმნიშვნელი დეტერმინატივი უძღვის წინ.

³ ტექსტში: [t]u-wa-za e-eš; ბეკმანისეული აღდგენით: [T]I-wa-za e-eš „დღეგრძელი იყავ“ (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 47).

⁴ 6'-7' სტრიქონების განსხვავებული თარგმანისთვის იხ. იქვე, გვ. 51: “Long may you live, O great [Sea, and long may] the minions who belong [to you] live!”.

⁵ იხ. ზემოთ, III.3 §7'.

⁶ გ. ბეკმანის აზრით, ეს ეპიზოდი შეიძლება გარკვეულწილად უკავშირდებოდეს სტანდარტული ბაბილონური ვერსიის ბუნდოვან კონტექსტს (X 34), რომელშიც ლომი არის ნახსენები (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

⁷ შდრ. CHD P, გვ. 199; Kloekhorst, *Etymological Dictionary*, გვ. 647; Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 52.

10'. ჩის და [მის წინ] ოქროს ვარცლი [დგას].
(ძცირე ხარვეზი)

F

§13'

- 1'. ის [...]'და სიკეთე/კარგი [...]
- 2'. [...]. ის ახლოს არ [მივიდა (?) ...].
- 3'. ნახმიცულიმ² [...]
- 4'. [გილგამეში დაინახა] და თავისთვის
- 5'. [ჩაილაპარაკა].

§14'

- 6'. [თავისთვის ჩაილაპარაკა] იმ ქალმა: „(მან), ვინც ყმანვილკაცებს [გამუდმებით ჩაგრავდა (?)],
- 7'. გაანადგურა [მცველი, გაანადგურა] ხუვავა,
- 8'. გაანადგურა [ცის ხარი ...], [მთების შუაგულში]
- 9'. [ლომები] გაანადგურა], ახლა ის [...],
- 10'. [...]. ისინი მოვლენ (?). [...] -თან ერთად
- 11'. [...]³

(ძცირე ხარვეზი)

G

§15'

- 1'. [...] ზღვა [...]
- 2'. [...] ის კი არ [...].”
- 3'. [...] მედუქნე ქალი ასე მიუგებს [მას:]
- 4'. „[...] გზა, რომელსაც [შენ გაივლი (?)] ...],
- 5'. [...] ურ-შანაბი [...]
- 6'. [...] მორს / იქით [...]
- 7'. [...]

(ხარვეზი)

H

¹ ჩანს ზმის მხოლოდ დაბოლოება (მესამე პირი, მხ. რ., პრეზენსი).

² მ. სალვინის საეჭვოდ მიაჩნია ნახმიცულის (= ხურიტული ტექსტის ნახმაცული) და სიდურის სახელით მოხსენიებული მედუქნე ქალის იგივეობა. მისი აზრით, ნახმაცული პირველად გილგამეშის ეპოსის ხურიტულ ტრადიციაში გვხვდება (იხ. Salvini, *Die hurrithischen Überlieferungen des Gilgamesh-Epos*, გვ. 159). იხ. ამასთან დაკავშირებით, გ. ბეკმანის კომენტარი (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 13).

³ ჩანს გაურკვეველი ზმის დაბოლოება და ნიშნები, რომლებიც არ იკითხება. მომდევნო სტრიქონშიც (12') მხოლოდ ნიშნების კვალია შემორჩენილი.

§16'

- 1'. [...] մեռլող ցուօս [միջուկ լազարակաված թղզաս, սեզա զո]
- 2'. [թղզաս զեր] գաճալակաված“ ։ ցոլցամեշո [նախմուլուս]
- 3'. [էթպազուս:] „գաճա [թղզա ...] ჩիմ մեարյես ար արուս?“¹
- 4'. [նախմուլուս] սկասուեցեծ: „...]
- 5'. [... սրմանաձուօս, [սոլոս² (?) ...] մենացես
- 6'. [...] այցես [...]
- 7'. (թղզանց) մոց ზայրոնքունան [...]
- 8'. [...] նացու [թորս նայցանունու (?) ...“].

I

§17'

- 1'. [... ցոլցամեշո] յայտնութ [...]
- 2'. [...] ցայդցա դա [...]-ս
- 3'. [յայդնեցա:] „յեյդյու դա թյ [...]”
- 4'. [...] սուրուցելուս նլյեցեւուսուս [...].
- 5'. [...] մուսու դալյ [դագցա (?)].³
- 6'. [...] նոյ] գաճալեծ! մատունարյ (?) [...]⁴

C iii

§18'

- 1'. զոլաց [...]
- 2'. „Շեն [(ցաճալակաված) (թղզաս)]“.⁵ ասյ էթպազուս ցոլցամեշո]
- 3'. յարժանաձուօս: [„ ... Շեն եռմ (ուս եար, զոնց մաս)“]
- 4'. պոզելլալյ (պա) պոզելլամյ [(ցաճալակաված եռլմյ)“ ։ ասյ մոյցընալս յարժանաձուօս:]
- 5'. „մյ [(ուս որո ցամոսակոլլեցա ցաճամալակացնեցդա եռլմյ)] (թղզաս)“.

¹ Շֆր. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, գլ. 51.

² Ոցուզե յութնացումտումու, նարլզնաս ցաճարհինունու դա յայցալազեցաս նախուարյեծու յրտա-ցերտու ազամունու, րումելտան շեքզեդրասաւունդա իսաեազդես մութնագ ամ դանուանենեցուն մոնակցետմու ալներունու ցոլցամեշուս մոց ზայրոնքա թղզանց ։ մուս մոյցեցազագ, րում ծոլանչյունու ալմուրինուլ ցոլցամեշտան դաշազմուրյուն կոյքստրեշուս տացագ նար-լզնուս ալներունոնքա զեր զեզացեցուտ, անակոռուոյրու գրագուցուուսուսուս յը յըութունու յուցեա ար յնդա պոտունուպու ։ ամաս աճաստրյուրեծ ծոլանչյունուզու ցաճալակաված նախուարյենունու պատարա ցրացմենցու, րումլուս ցմունու, մալակունունուրու զերսուս մայցալսագ, ատրամ-եասուսու / զատարա-եասուսու սահելուտ արուս մուեսենույնու (ուս. ոյցու, գլ. 9).

³ ցամուտյմա – „մուսու դալյ դագցա“ եցուուրշու սոյցալուս ցամումեաբացունունուա.

⁴ մոմդեցնու որո սգրույնու (7'-8') ասյու մույւուր դանուանենեցուն դա ցրանիս ալդցցենա զեր եցրեցդեցա.

⁵ Շֆր. Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*, գլ. 542.

- 6'. ასე (ეტყვის) [(გილგამეში: „რად მიბრაზდები?“)]
 7'. გილგამეში [...] ურშანაბი]
 8'. (მას) მიუგებს: „[...]“
 9'. შენი [...]“
 10'. შენზე¹ [...]“
 11'. ადრე დავრგე² [...]“
 12'. ხით ქვემოთ (და) [...]“
 13'. (შე)ჭამენ. ურშანაბი გილგამეშს,
 14'. მეფეს, მიუგებს:
 15'. „რას (აპირებ), გილგამეშ? ზღვას
 16'. გადალახავ შენ?³ სიკვდილის წყლებს
 17'. რომ მიადგები, როგორც კი (ამას) იზამ,⁴
 18'. ცული მოიმარჯვე და
 19'. ორმოცი წყრთის ან ორმოცდაათი წყრთის სიგრძის [ჯოხები მოჭერი!]⁵“]

§19*

- 20'. როდესაც გილგამეშმა ურშანაბის
 21'. სიტყვები მოისმინა, ცული ხელში [დაიჭირა]
 22'. და 50 წყრთის სიგრძის ჯოხები
 23'. მოჭრა. გასხლა,⁶ [გათალა (?)] ისინი
 24'. და ნავზე დააწყო.
 25'. გილგამეში და ურშანაბი, ორივენი⁷ ნავში [ჩასხდნენ(?)].
 26'. ურშანაბიძ
 27'. საჭეს (?)⁸ ხელი მოჰკიდა, გილგამეშმა [კი ჯოხები]

¹ ან: „შენს ზემოთ“, „ზემოთ შენ ...“.

² იხ. *CHD P*, გვ. 207.

³ შდრ. *CHD P*, გვ. 151: “[When(?)] you go a[cross] the sea”.

⁴ შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 104–105); Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51: “What will you do when you come to the waters of death?”.

⁵ როგორც ჩანს, ნიჩბების დასამზადებლად.

⁶ იხ. *CHD Š*, გვ. 202.

⁷ ან: „მხოლოდ ორნი“. იხ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 113); Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*, გვ. 170, შენ. 52.

⁸ იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51 (კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 52); შდრ. *CHD P*, გვ. 268, სადაც სიტყვა *pintanza* თარგმნილია როგორც „ნიჩბები“. მე ვიზიარებ გ. ბექმანის თარგმანს. ნიჩბების ფუნქცია, ალბათ, ამავე სტრიქონში აღდგენილ [*wi,-na-la*] „ჯოხებს“ უნდა შეესრულებინა.

28'. <დაიჭირა> ხელში. მათი მოგზაურობა ერთ თვისა და თხუთმეტი დღის (მანძილზე გრძელდებოდა).¹

კოლოფონი: მესამე² ფირფიტა „გილგამეშის სიმღერისა“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გილგამეშიანი – გილგამეშიანი. ბაბილონური ეპოსი მესამე ათასეულისა ქ. წ., ბაბილონურ ტექსტითგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ (კონსტანტინეპოლი 1924), თბილისი, 2018.

ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი – ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი (10 ნაკვეთი), თბილისი, 2006-2014.

Archi, Transmission of Recitative Literature – Archi A., *Transmission of Recitative Literature by the Hittites*, AoF, 34, 2007, გვ. 185-203.

Bachvarova, From Hittite to Homer – Bachvarova M., *From Hittite to Homer: The Anatolian Background to Ancient Greek Epic*, Cambridge, 2016.

Beal, Hittite Oracles – Beal R., *Hittite Oracles*, “Magic and Divination in the Ancient World”, ed. L. Ciraolo and J. Seidel, Leiden, 2002, გვ. 57-81.

Beckman, The Hittite Gilgamesh – Beckman G., *The Hittite Gilgamesh*, Atlanta, 2019.

CHD – The Hittite Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago, Edited by Güterbock H.G, Hoffner H.A. (et al.), Chicago, 1980-.

Friedrich, Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos – Friedrich J., *Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos*, ZA, 39, 1930, გვ. 1-82.

George, The Babylonian Gilgamesh Epic – George A., *The Babylonian Gilgamesh Epic*, Oxford, 2003.

¹ მომდევნო ფრაგმენტი (C iv §§ 20'-22') ძლიერ დაზიანებულია და მეტ-ნაკლებად გაბმული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. ტექსტს აშკარად აკლია ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილი იქნებოდა უთნაფიშთამის და გილგამეშის შეხვედრა, ამ უკანასკნელის გამოცდა უძილობასთან გამკლავების უნარით, რაც სიკვდილზე გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა, მისი დაბრუნება ურუქში. დაზიანებულ სტრიქონებში შეიძლება ამოვიკითხოთ სახელი „ულუ“ (= უთნაფიშთიმ) (§21'/C iv 16'), ასევე *tuliya-* „საკრებულო“ (13', 17'), რის საფუძველზეც გ. ბექმანი ხედავს მსგავსებას სტანდარტულ ბაბილონური ვერსიის შემდეგ კონტექსტთან (XI 207-208): „ახლა კი ვინ მოუხმობს შენთვის ღმერთებს საკრებულოზე იმისთვის, რომ იპოვო (მარადიული) სიცოცხლე, რომელ-საც დაექცებ?“. როგორც ჩანს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო გილგამეშის ეპოსის ხეთური ვერსიის დამაგვირგვინებელი ფრაზა (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

² ტექსტში, ალბათ, შეცდომით წერია: DUB.1.KAM ტექსტში, ალბათ, შეცდომით წერია: Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 70; Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51, 52.

- Görke, *Das Ritual der Aštu*** – Görke S., *Das Ritual der Aštu (CTH 490): Rekonstruktion und Tradition eines hurritisch-hethitischen Rituals aus Boğazköy/Hattuša* (Culture and History of the Ancient Near East 40), Leiden, 2010.
- Haas, *Die hethitische Literatur*** – Haas V., *Die hethitische Literatur. Texte, Stilistik, Motive*, Berlin, New York, 2006.
- Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*** – Hoffner H. A., Melchert H.C., *A Grammar of the Hittite Language*, Winona Lake, Indiana, 2008.
- HW²** – *Hethitisches Wörterbuch. Zweite völlig neubearbeitete Auflage auf der Grundlage der edierten hethitischen Texte*, Edited by Friedrich J., Kammenhuber A., (et al.), Heidelberg, 1975-.
- Klinger, *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur*** – Klinger J., *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur und die Überlieferung des Gilgameš-Epos in Hattuša*, “Motivation und Mechanismen des Kulturkontakte in der späten Bronzezeit”, ed. D. Prechel, Florence, 2005, 83. 103-127.
- Kloekhorst, *Etymological Dictionary*** – Kloekhorst A., *Etymological Dictionary of the Hittite Inherited Lexicon* (Indo-European Etymological Dictionary Series 5), Leiden, 2008.
- Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*** – Kronasser H., *Etymologie der hethitischen Sprache*, Wiesbaden, 1963-1966, 1987.
- Melchert, *Cuneiform Luvian Lexicon*** – Melchert H. C., *Cuneiform Luvian Lexicon* (Lexica Anatolica 2), Chapel Hill, NC, 1993.
- Mouton, *Rêves hittites*** – Mouton A., *Rêves hittites. Contributions à une histoire et une anthropologie du rêve en Anatolie ancienne*, Leiden, Boston, 2007.
- Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*** – Neu E., *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen* (Studien zu den Boğazköy-Texten 5), Wiesbaden, 1968.
- Otten, *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*** – Otten H., *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*, IM, 8, 1958, 83. 93-125.
- Polvani, *La terminologia dei minerali*** – Polvani A.-M., *La terminologia dei minerali nei testi ittiti* (Eothèn 3), Florence, 1988.
- Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*** – Puhvel J., *Hittite Etymological Dictionary*, Berlin, 1984-.
- Rieken (et al.), *CTH 341.III*** – Rieken E., Lorenz J., Bauer A., Görke S., *CTH 341. III.1*: <http://www.hethport.uni-wuerzburg.de/HPM/index.php> (INTR 2009-08-12).
- Salvini, *Die hurritischen Überlieferungen des Gilgameš-Epos*** – Salvini M., *Die hurritischen Überlieferungen des Gilgameš-Epos und der Kešši-Erzählung*, “Hurriter und Hurritisch”, ed. V. Haas, Konstanz, 1988, 83. 157-72.

Sasson, Prologues and Poets – Sasson J. M., *Prologues and Poets. On the Opening Lines of the Gilgamesh Epic*, “Beyond Hatti. A Tribute to Gary Beckman”, ed. by Collins B. J. and Michalowski P., Atlanta, 2014, §3. 265-277.

Schott, Das Gilgamesch-Epos – Schott A., *Das Gilgamesch-Epos*, Stuttgart, 1958.

Starke, Untersuchung zur Stammbildung – Starke F., *Untersuchung zur Stammbildung des keilschrift-luwischen Nomens* (Studien zu den Boğazköy-Texten 31), Wiesbaden, 1990.

Stefanini, Enkidu's Dream – Stefanini R., *Enkidu's Dream in the Hittite “Gilgamesh”*, JAOS, 28, 1969, §3. 40-47.

Tischler, Der Ortsname Tarsos – Tischler J., *Der Ortsname Tarsos und Verwandtes*, ZVS, 100, 1987, §3. 339-50.

Tischler, Hethitisches Etymologisches Glossar – Tischler J., *Hethitisches Etymologisches Glossar*, Innsbruck, 1977-2016.

Ziolkowski, Gilgamesh Among Us – Ziolkowski Th., *Gilgamesh Among Us: Modern Encounters with the Ancient Epic*, Ithaca, NY, 2011.

The Hittite Version of the Gilgamesh Epic

Summary

The Epic of Gilgamesh, an epic poem from ancient Mesopotamia, is often cited as the oldest known piece of literature with an indubitably long history stretching across 17 centuries (from about 1750 to 100 BC) and a wide area of distribution: the cuneiform texts, describing the exploits of Gilgamesh, the protagonist of the epic, have been revealed not only among the ruins of Assyria and Babylon, but also in different regions of the ancient Middle East – in Anatolia, Ugarit, Emar and Megiddo. Next to two Akkadian versions, the manuscripts in Hurrian and Hittite have been also discovered at the Hittite capital Hattusa (present-day Boğazköy). As G. Beckman has rightly noticed, the archaeological excavations at Hattusa have yielded more textual material for Gilgamesh than is known from all other Late Bronze Age sites combined. Opinions differ, however, regarding the place the Epic of Gilgamesh would have been held in the Hittite culture: was it solely used in scribal instruction, or did it also serve as a literary work among the Hittite “elite”? Also controversial is the question about the origins of the Hittite version of the Gilgamesh Epic, whether it is a text reflecting an oral tradition or an independent composition that is not based on earlier Akkadian (or Hurrian) texts. One thing is indisputable: the texts written in Akkadian, Hurrian, and Hittite languages found in Boğazköy are of great importance for the reconstruction of the development of the Gilgamesh epic, since these texts include the material of the period which is quite fragmented and sparsely preserved in the Mesopotamian tradition itself. Moreover, the Hittite version is the only source that can be used to fill a gap in Tablet V of the final, “canonical,” version of the epic. In addition to what has been said, studying the textual material from Boğazköy related to the Gilgamesh Epic could shed light on the spread of narrative traditions in the ancient Near East and their contacts with the Greek epic tradition.

The present article contains the first Georgian translation of the three tablets (CTH 341.III.1, III.2, III.3) representing the Hittite version of the Epic of Gilgamesh.